

მაია ჯალიაშვილი
(ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის
ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი)

XX საუკუნის ლიტერატურის სწავლება IX კლასის სახელმძღვანელოებში

დღეს ქართულ სკოლებში მეცხრე კლასში სამი ალტერნატიული სახელმძღვანელოა. ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ როგორ არის წარმოდგენილი მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა თითოეულში.

პირველ რიგში, ვისაუბრებთ სახელმძღვანელოზე, რომლის ავტორ-შემდგენლები არიან: ვახტანგ როდონაია (ჯგუფის ხელმძღვანელი), ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი (გამომცემლობა „სწავლანი“). წიგნში XX საუკუნის ლიტერატურა წარმოდგენილია თემატური პრინციპით (სხვა საუკუნეთა ლიტერატურის მსგავსად).

მასალის თემატური დალაგების კონცეფცია კარგად არის მოფიქრებული და გააზრებული. სულ 8 თავია, შესაბამისი სახელწოდებებით. მათგან შვიდ თავში წარმოდგენილია XX საუკუნის ლიტერატურა.

წინასწარვე ჩამოვთვლი, რა მასალაა წარმოდგენილი: მე-2 თავში „კარგ ქართველთა ხსოვნისთვის“ შესულია გიორგი შატბერაშვილის „საუკუნო საგზალი“, ივანე ზურაბიშვილის „გაბრიელ ეპისკოპოსი“ და რეზო თაბუკაშვილის „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, მესამე თავში „ფესვები“ შესულია ნიკო ლორთქიფანიძის „გული“, რეზო ინანიშვილის „ანდერძი“ და „აფხაზი გოგოს დღიური“ –ჯანო ჯანელიძის წარდგენით, მეოთხე თავში „საკუთარი თავის ძიებაში“ შესულია ოთარ ჭილაძის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ და რიჩარდ ბახის „თოლია სახელად ჯონათან ლივინგსტონი“ (დავით აკრიანის თარგმანი), მეხუთე თავში „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“ შესულია ვალერიან გაფრინდაშვილის „სანტიმენტალური ტრიოლეტი“, გალაკტიონ ტაბიძის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, ტერენტი გრანელის „გაზაფხულის სადამოა მშვიდი“, მირზა გელოვანის „ნუ მწერ“. ანა კალანდაძის „მოდიოდა ნინო მთებით“, მეექვსე თავში „სიბრძნე სიცილისა“ წარმოდგენილია რეზო ჭიეშვილის „ნობელი“ და რეზო გაბრიადის „შერეკილები“ (ნაწყვეტი), მერვე თავში „უკვდავი პერსონაჟი“ შესულია პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი (I და IV მოქმედება) და ჭაბუა ამირეჯიბის „მოსე ზამთარაძის ნაამბობი“ (ნაწყვეტი რომანიდან „დათა თუთაშხია“). ამასთანავე, სახელმძღვანელოში პოეზიის მცირე ანთოლოგიაცაა, პოეტთა ბიოგრაფიებით.

როგორც ვხედავთ, ამ მასალის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ:

1. XX საუკუნის ლიტერატურა მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი.
2. ჟანრული თვალსაზრისითაც, მრავალფეროვნებაა: მინიატურა, მოთხრობა, რომანი, დრამა, კინომოთხრობა.
3. ლიტერატურული მიმდინარეობებიც კარგად წარმოჩნდება; იმპრესიონიზმი, რეალიზმი.
4. ავტორებს ამ მასალის მიხედვით, შესაძლებლობა აქვთ, აგრეთვე, ისაუბრონ სატირასა და იუმორზე.

მასალის შერჩევას, კითხვების შედგენისას და გარკვეული რჩევების მიცემისას გათვალისწინებულია მეცხრე კლასის ბავშვის ფსიქოლოგია, ცოდნის შეძენის მიმართ დამოკიდებულება, ინტერესები და ყოველივე გათვლილია იმაზე, რომ მოსწავლემ XX საუკუნის ლიტერატურის შესახებ ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას, დაინტერესდეს სხვა ტექსტების წასაკითხად და გამოუმუშავდეს მხატვრული ნაწარმოების აღქმისა და ანალიზის უნარი.

ავტორებს, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი ამოცანები და ყურადღებას ამახვილებენ სამ მიმართულებაზე: კითხვასა, წერასა და ზეპირ მეტყველებაზე.

ვფიქრობთ, ამ სახელმძღვანელოთი შესაძლებელია მოსწავლეს განუვითარდეს სამივე უნარი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კარგად არის დაგეგმილი წინასწარი შეთავაზების ფორმა. ეს არის მოსწავლის დაინტერესების მეთოდი თუ ხერხი.

აღსანიშნავია, რომ ავტორები სწავლების ტრადიციულ გამოცდილებას კარგად იყენებენ და ნოვაციებსაც ზომიერად რთავენ, რაც მასწავლებელსაც და მოსწავლესაც უადვილებს სასწავლო პროცესს.

ყოველ სასწავლო მასალას წინ უძღვის რამდენიმე, შეიძლება ვთქვათ, რუბრიკა, 1. მოვემზადოთ ტექსტის წასაკითხად, რომელიც სამ ქვესაკითხად იყოფა: 1. დავაკავშიროთ (უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება), 2. გავანალიზოთ (მხატვრული ანალიზის ელემენტები), 3. გამოვიყენოთ (კითხვის სტრატეგია). ამ ყველა ქვეთავში ამოცანები ყოველი ტექსტის მიხედვით იცვლება.

ამ ყოველივეს გამოძახილი აქვს ტექსტის ბოლოს. ე.ი. მოსწავლე ჯერ გარკვეულ ამოცანებს დასახავს, შემდეგ წაიკითხავს ტექსტს და შესაბამის კითხვებზე პასუხით წარმოაჩენს შედეგებს.

ეს კარგად მოფიქრებული დასაწყისი და დასასრული კრავნ რკალს და წარმოაჩენენ ძველიდან ახლისკენ გადასვლას, ე.ი. ახალი ცოდნის შეძენას თვალნათლივ წარმოაჩენენ.

ვფიქრობთ, ეს ახალი მასალის შესწავლის კარგი მეთოდია.

რაც შეეხება იმას, თუ თვითონ ტექსტი როგორ არის შემოთავაზებული

1. ახლავს შესაბამისი ფოტოები და ილუსტრაციები და ტექსტის ბოლოს ავტორის შესახებ ინფორმაცია.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, ავტორის შესახებ მასალა ტექსტის წინ ყოფილიყო. მოსწავლეს პირველ რიგში აინტერესებს, ვისია ნაწარმოები.

ვფიქრობთ, კარგი თემებია შემოთავაზებული. პირველ რიგში, წარმოჩნდება ქართული კულტურა, ეროვნული ცნობიერება, პატრიოტიზმი, ამასთანავე, არის ზოგადსაკაცობრიო თემატიკა.

ყოველი ტექსტის ბოლოს დართული სხვადასხვა ტიპის კითხვა მისადაგებულია ადამიანის აზროვნების საფეხურებრიობასთან, ე.ი. ცალკეული კითხვა გამიზნულია—ცოდნაზე, გაგებაზე, გამოყენებაზე, ანალიზსა, სინთეზსა და შეფასებაზე.

აღსანიშნავია მეხუთე თავი „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“, რომელშიც საგანგებო ყურადღება ეთმობა პოეზიის არსში გარკვევას. მოცემული მასალა საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ შეიხედოს ლექსის შექმნის ლაბორატორიაში, დაეხვეწოს გემოვნება, გამოუმაშადეს სიტყვის განსხვავებულად „გზნების“ უნარი. ამ თვალსაზრისით, ეს სახელმძღვანელო უდავოდ გამორჩეულია.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ავტორები ზრუნავენ, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის უნარი. ამას ემსახურება სწორედ რუბრიკა „მხატვრული ანალიზის ელემენტები“.

ჩვენი აზრით, მხატვრული ტექსტის შესწავლის კარგი სქემებია მოფიქრებული.

ახლა განვიხილოთ, ზემოთ ნახსენები ტექსტების საფუძველზე რას და როგორ შეისწავლიან მოწავენი?

მეორე თავის მიხედვით (სადაც გიორგი შატერაშვილის „საუკუნო საგზალი“, ივანე ზურაბიშვილის „გაბრიელ ეპისკოპოსი“ და რეზო თაბუკაშვილის „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესია“, ავტორები მოსწავლეებს ასწავლიან:

1. ჩვენი ქვეყნის თვადადებულ მოღვაწეთა შესახებ: ილია და „ივერიის“ თანამშრომლები, გაბრიელ ეპისკოპოსი, ექვთიმე თაყაიშვილი.
2. მთხრობელის რაობას უხსნიან, ე.ი. რა ტიპის მთხრობელი არსებობს და ამ კონკრეტულ ტექსტებში როგორაა. განმარტებები გამოირჩევა ლაკონურობით, სისადავით. მოსწავლისთვის იოლად აღსაქმელია მსუბუქად მოწვდილი ლიტმცოდნეობითი თეორიის ელემენტები. რაც ბავშვს უყალიბებს მხატვრული ნაწარმოების ანალიზის უნარს. ე.ი. მოსწავლე მოთხრობას უკვე აღიქვამს არა მხოლოდ შინაარსის, იდეების თვალსაზრისით, არამედ ფორმასაც აქცევს ყურადღებას და აანალიზებს ტექსტს, როგორც მხატვრულ ფენომენს.
3. ასწავლიან კითხვის სტრატეგიას, თუ რა ხერხს უნდა მიმართონ, თუ მთხრობელი პოზიციას იცვლის. თუ როგორ იქნება უკეთესი ტექსტის წაკითხვა. ეს წინასწარვე ამზადებს მოსწავლეს და ყურადღების კონცენტრირებას ახდენს. ტექსტს იმავე გვერდზე

ახლავს განმარტებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეს აღარ უწევს წიგნის ბოლოში ლექსიკონოს მოძებნა, რაც აიოლებს კითხვას.

4. ტექსტის შემდეგ სხვადასხვა ტიპის კითხვა კარგად არის მოფიქრებული, რაც სრულიად საკმარისია ნაწარმოების ღრმად და ყოველმხრივ გასაანალიზებლად.
5. ტექსტის ბოლოს, დამატებითი ამოცანების სახელწოდებით, კვლავ კითხვებია, რომლებზეც პასუხის გასაცემად მოსწავლემ უნდა ყურადღებით წაიკითხოს და გაანალიზოს იქვე შემოთავაზებული იაკობ მანსვეტაშვილის მგონების ის ფრაგმენტი, რომელიც გიორგი შატბერაშვილის მოთხრობას ეხმიანება.

მასალა იმგვარად არის შერჩეული, რომ, მართლაც, კარგად ჩანს რომელ ძველ ცოდნასა და გამოცდილებას აკავშირებს ახალთან. ამ შემთხვევაში, შატბერაშვილის მოთხრობის სათაური „საუკუნო საგზალი“ გამოყენებული იყო I თავის სახელწოდებად.

ტექსტის წაკითხვამდე შემოთავაზებული მასალის მიხედვითაა კითხვები და წარმოაჩენს, თუ როგორ შეძლებს მოსწავლე თეორიულად ნასწავლის პრაქტიკულად გამოყენებას.

ასე რომ, ყველა კითხვა ზუსტადაა გათვლილი და ყველა მასალაც საგანგებოდ მიწოდებული.

ასევე ცალკეა კითხვები, რომლებზეც პასუხები გამოავლენს, კითხვის რა სტრატეგია და როგორ გამოიყენა ამოსწავლემ.

თავის ბოლოს კარგი წერითი დავალებაა შეთავაზებული: „გვიამბეთ თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ“. აქვე განმარტებულია ბიოგრაფიისა და ავტობიოგრაფის რაობა.

მოსწავლეს ავტორები სთავაზობენ კარგად მოფიქრებულ და ლაკონურად ჩამოყალიბებულ რჩევებს:

თემა როგორ უნდა შეარჩიონ.

1. რა დეტალები გაიხსენონ.
2. როგორ დალაგონ მოვლენები.
3. როგორ ჩართონ თავიანთი ფიქრები და განცდები,
4. როგორ შექმნან ჯერ შავი ვარიანტი.
5. შემდეგ როგორ გადაამუშავონ,
6. როგორ გადაათეთრონ.

ეს მითითებები, ალბათ, ნებისმიერი მონაცემის მოსწავლეს შეაძლებინებს წერითი დავალების შესრულებას.

ზეპირმეტყველების გასავითარებლად დავალებაა ჯგუფური სამუშაოსთვის.

მოსწავლეებს ევალებათ მოამზადონ შესწავლილ მოთხრობათა მთავარი გმირების შესახებ, მათი ძეგლის ან მემორიალური დაფის გახსნაზე წარმოსათქმელი სიტყვა. შესაბამისი რჩევები ახლავს ამ დავალებას, კერძოდ, როგორ უნდა ააგონ სიტყვა და რაზე ისაუბრონ შესავალსა, ძირითად ნაწილსა თუ დასკვნაში.

მესამე თავი „ფესვები“ (ნიკო ლორთქიფანიძის „გული“ და რეზო ინანიშვილის „ანდერძი“) ავტორებს კარგად აქვთ დასახული ამოცანები.

1. თემა: სამშობლოს, წინაპრების სიყვარული.

კარგია, რომ ამ თავში რუბრიკით „ეს საინტერესოა“ შეოთავაზებულია მოგონება, თუ გადასახლებაში პატარა ქართველს საქართველოს რუკაზე როგორ აადგმევინეს ფეხი.

2. მხატვრული ანალიზისთვის: აცნობენ იმპრესიონისტულ მიმდინარეობას, მინიატურის ჟანრს. ამავე თემის მიხედვით შეისწავლება ტროპები: შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება.

ნიკო ლორთქიფანიძის „გულის“ მიხედვით უვითარებენ ცალკეულ სიტყვასა და დეტალზე დაკვირვების უნარს.

რეზო ინანიშვილის „ანდერძი“ ავტორებს საშუალებას აძლევთ მოსწავლეებს ასწავლონ ანდერძის მნიშვნელობა.

აქვე შეთავაზებულია, როგორ გაარკვიონ ნაწარმოების თემა.

ავტორთა აზრით, ნაწარმოების თემა, იდეა და მთავარი სათქმელი ერთი და იგივეა. ეს აზრი საკამათოდ მიგვაჩნია. შეიძლება ერთსა და იმავე თემაზე (მაგ. ომის, სიყვარულის..) შექმნილ ნაწარმოებებს სხვადასხვა მთავარი სათქმელი ჰქონდეთ.

კარგად არის შერჩეული კითხვები, რომლებიც მოსწავლეს მოცემული ტექსტის თემის გარკვევაში დაეხმარება.

კითხვის სტრატეგიაში ახალი ის არის, რომ მოსწავლეებს სთავაზობენ წარმოსახვის განმავითარებელ დავალებას: თავი რომელიმე პერსონაჟის ადგილას წარმოიდგინონ, იმსჯელონ და დაწერონ ამის შესახებ.

აქაც კარგი წერითი დავალებაა „ჩვენი წინაპრები“.

„აფხაზი გოგონას დღიური“ შთამბეჭდავი მასალაა ჩვენი უახლოესი ისტორიის თვალნათლივ წარმოსაჩენად.

ავტორებს შესაძლებლობა აქვთ, მოსწავლეებს პატრიოტიზმთან ერთად გაუღვივონ შემწყნარებლობის გრძნობა, ასწავლონ დღიურის ფორმა. გაუჩინონ ინტერესი დღიურის ფორმით დაწერილ სხვა ნაწარმოებთა წასაკითხად (უპირველესად, „ანა ფრანკის დღიურისა“).

საინტერესოა თავის ბოლოს გათვალისწინებული ზეპირმეტყველების სემინარი. აქ შემოთავაზებულია ქორალის, ან გუნდური კითხვის შესწავლა. ესეც მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობაზეა გათვლილი.

მეოთხე თავი „საკუთარი თავის ძიებაში“ ავტორებს შესაძლებლობა აქვთ თამაზ ჭილაძის პოემის „ადამიანი გაზეთის სვეტში“ ასწავლონ–თეორი ლექსის რაობა. ლექსის პაუზებით კითხვის ხელოვნება.

ყურადღებას იქცევს თვითონ ტექსტთან (გვერდზე) დასმული კითხვები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევთ, კითხვის პროცესშივე გააკეთონ გარკვეული აქცენტები მთავარსა და არსებითზე.

აქ დამატებით ამოცანაში „ბიბლიური ალუზია“ შემოთავაზებულია იესო ქრისტეს იგავი მთესველის შესახებ და სათანადო კითხვაც არის დასმული.

თუმცა, კარგი იქნებოდა, ხანდახან ავტორებს მოკლედ თავიანთი აზრიც ჩამოეყალიბებინათ რაიმე ფორმით.

ზოგიერთ კითხვაზე პასუხი მოითხოვს ჯერ ვიღაცის, ამ შემთხვევაში, ავტორის პასუხის გაცნობას (გასაგებია, რომ აქ მასწავლებელს ევალება თავისი აზრის ჩამოყალიბება, მაგრამ მასაც ხშირად არა აქვს საშუალება კარგი პასუხის მოსამზადებლად სათანადო ლიტერატურის მოძიებისა“)

ამ თავში შემოთავაზებული რიჩარდ ბახის მოთხრობა „თოლია, სახელად ჯონათან ლევინგსტონი“ ავტორებს საშუალებას აძლევთ, მოსწავლეს ასწავლონ ალეგორიის რაობა. თუმცა ამ მიზნისთვის შეიძლებოდა ისევე ქართული მასალის აღება, ეს კი დამატებით საკითხავად მიეცათ.

როგორც აღვნიშნეთ, საინტერესოა მეხუთე თავი „ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის საქმეში“, აქ მოსწავლე კარგად გაეცნობა მეოცე აუკუნის ქართულ პოეზიას. ახალი მასალაა: პეიზაჟი და „ლიტერატურული კონტექსტი“.

ავტორები მოსწავლეებს ასწავლიან ლექსის ახალ ფორმებს: ტრიოლეტს (ვალერიან გაფრინდაშვილის „სანტიმენტალური ტრიოლეტი“, ოქტავას (გალაკტიონის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“), გარითმვის სახეობებს, ზუსტ და არაზუსტ რითმებს, კითხვის სტრატეგიაში ყურადღებას ამახვილებენ ლექსის მუსიკის მოსმენაზე, განწყობაზე, ეპითეტებზე, პოეტურ ლიცენციაზე, პოეტური ენის თავისებურებებზე. ვფიქრობთ, ამ თავში საუკეთესო მასალაა, კარგად შერჩეული კითხვები და დავალებებია იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს პოეზიის არსის გარკვევა, ლექსის შეყვარება.

და რაც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოსწავლეს ამ მასალის შესწავლის საფუძველზე უთუოდ დაეხვეწება გემოვნება და შეძლებს გაიგოს ესთეტიკური სიამოვნების ფასი.

დამატებით საკითხავად შემოთავაზებულია უცხოური და ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია. ეს არის, მართლაც, შესანიშნავი მასალა (აქ არის ჰაფეზის, ფრანსუა ვიიონის, ტიციან ტაბიძის, გივი გეგეჭკორის, უილიამ შექსპირის, ედგარ პოს, ვალერიან გაფრინდაშვილის, შარლ ბოდლერის, ედგარ პოს, გალაკტიონ ტაბიძის, შანდორ პეტეფის, გორგი ლეონიძის, ფედერიკო გარსია ლორკას, შოთა ნიშნიანიძის სხვადასხვა ფორმის ლექსები. დართულია მცირე ინფორმაციები ავტორთა შესახებ. ეს კარგი მასალაა იმისთვის, რომ მოსწავლე მხოლოდ სახელმძღვანელოს საშუალებით გაეცნოს მსოფლიო პოეზიის შედეგებს.

ასევე, აღსანიშნავია დავალება: თვითონ მოსწავლეებმაც შეადგინონ, მაგალითად, საყვარელი ლექსების პოეტური ანთოლოგია.

მეექვსე თავი „სიბრძნე სიცილისა“ ავტორებს საშუალებას აძლევთ მოსწავლეებს შეასწავლონ სატირა და იუმორი, თუ როგორ ამოიცნონ ტექსტში იუმორისტული ინტონაცია. რეზო გაბრიადის „შერეკილები“ და რეზო ჭიჭიშვილის „ნობელი“ ამ თვალსაზრისით შესანიშნავი მასალაა,

მერვე თავში კი „უკვდავი პერსონაჟი“ პოლიკარბე კაკაბაძის “ყვარყვარე თუთაბერისა“ და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიადან“ ფრაგმენტების გზით მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ დრამის ჟანრობრივი თავისებურებანი, დრამატული ნაწარმოების კითხვის ჩეევებს დაეუფლონ, გაარჩიონ ერთმანეთისგან ხასიათებისა და სიტუაციების კომედია.

ზეპირი მეტყველების განსავითარებლად კარგი დავალებაა „მკითხველის თეატრი“, ეს არის ლიტერატურული ნაწარმოების ჯგუფური წარმოდგენა დრამატული ფორმით. ყველაფერი დეტალურადაა ახსნილი, თუ როგორ უნდა წარმოადგინონ.

ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოების მაგალითზე კი შემოთავაზებულია პერსონაჟის პირდაპირი და არაპირდაპირი წარმოჩენის თავისებურებანი, პერსონაჟთა შედარება–შეპირისპირებითი დახასიათება

„ეს საინტერესოა“ რუბრიკით კი შემოთავაზებულია „ისტორიული პარალელი“, მოკლე ანალოზი ტოტალიტარული რეჟიმებისა, რაც, რა თქმა უნდა, მოსწავლეს დაეხმარება შემოთავაზებული ნაწარმოების ღრმად გააზრებაში.

მასალის ბოლოს წერით დავალებაში ზუსტად არის ახსნილ–განმარტებული, მოსწავლეებმა როგორ დაწერონ „პერსონაჟთა შედარებითი დახასიათება“.

სხვაც ბევრი რამ არის საგულისხმო, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, სახელმძღვანელოს სადა და გემოვნებით შერჩეული დიზაინი. აგრეთვე, ის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი, რომ სახელმძღვანელოს სატიტულო ფურცელზე და არა ყდაზე აწერია, თუ ვინ არიან ამ წიგნის ავტორ–შემდგენლები (სხვა ორივე სახელმძღვანელოს ყდაზე აწერია ატორები და არა ავტორ–შემდგენლები).

ჩვენი აზრით, ეს სახელმძღვანელო ყოველმხრივ მიესადაგება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს, აგრეთვე, მოსწავლის როგორც მამულიშვილისა და მოქალაქის, ქართული ლიტერატურის მცოდნის აღზრდას.

მეორე სახელმძღვანელოს ავტორ–შემდგენლები არიან ლია თუშური, მაია ინასარიძე, ნინო შარაშენიძე (გამომცემლობა „დიოგენე“).

ამ სახელმძღვანელოშიც თემატური პრინციპით არის შესასწავლი მასალა დალაგებული.

სულ ხუთი თავია. I. „გზა შინისაკენ“; II– „სათავეებთან“, III– „არჩევანი“, IV–„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა“, V–„უბრალოდ ადამიანი“. ხუთივე თავში ცალკეულ პარაგრაფში წარმოდგენილია მეოცე საუკუნის ლიტერატურა, პარალელურად ძველსა და მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურასთან ერთად.

თუმცა უნდა ვთქვათ, რომ XX საუკუნის ლიტერატურა შედარებით მწირად არის წარმოდგენილი. პროზა: 1. მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“. 2. ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ ევროპაში რა მინდოდა“. 3. გურამ დოჩანაშვილის „კოტე მასწავლებელი“. პოეზია: 1. გალაკტიონ ტაბიძის „მშობლიური ეფემერა“. 2. „პროლოგი 100 ლექსის“, 3. ანა კალანდაძის „მოჰყავთ შუმანიკი“, 4. ჯანსუღ ჩარკვიანის „წამება დედოფლისა“, 5. გივი გეგეჭკორის „წიგნი, მიწერილი ასმათსა თანა“, 6. შოთა ჩანტლაძის „გულანშარო“.

თუმცა ყველაფერი: კითხვები და დავალებები ისეა მოწოდებული, რომ ავითარებს კითხვასაც, წერასაც და ზეპირმეტყველებასაც.

I თავში, სახელწოდებით „გზა შინისაკენ“, შესულია მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“. მოთხრობას წინ უძღვის ავტორის მიერ დაწერილი ფრაგმენტი ავტობიოგრაფიიდან. ამავე დროს, მოცემულია ტექსტის წაკითხვამდე პასუხგასაცემი კითხვები. ეს კარგი სტრატეგიაა იმისთვის, რომ მოსწავლე წინასწარ შეეშალოს მოთხრობის წასაკითხად, ვთქვათ, ასეთი

კითხვა, რა შეიძლება ითქვას სათაურზე, ხომ არ გინახავთ ამ თემაზე რაიმე ფილმი ან სპექტაკლი, ან წაგიკითხავთ რაიმე. უცხოეთში წასულ ქართველებს თუ შეხვედრიხართ და სხვა.

ტექსტს ახლავს ილუსტრაციები, უცნობ სიტყვათა განმარტებები. ყოველი მონაკვეთის ბოლოს დასმულია სხვადასხვა ტიპის კითხვა, თუმცა სამი-ოთხი შეკითხვა ცოტაა. მოთხრობის ბოლოს შემაჯამებელი კითხვებია, საანალიზო და შეფასებითი. კითხვები გაერთიანებულია რუბრიკებში: 1). „გავიაზროთ წაკითხული და ვიმსჯელოთ“. 2). „ჩვენი ვარაუდები“. აქ ასეთი დავალებაა: ამოწერეთ მცირე მონაკვეთებიდან „საყრდენი სიტყვები“ და ფრაზები და განმარტეთ. ან კიდევ; შეეცადეთ, დაასათაუროთ მონაკვეთები. 3). „შევამოწოთ ჩვენი ვარაუდები“. აქ ავტორები მიუთითებენ, რომ ნახონ დანართი, სადაც მოცემულია ლიტმცოდნეობითი ცნებების განმარტებები. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდები. თუმცა, კარგი, იქნებოდა, ეს განმარტებები, რაც ამჯერად იყო საჭირო, იმავე გვერდზე ყოფილიყო, სადაც დავალებაა მიცემული. 4) „ოსტატობის სკოლა“. აქ საინტერესო დავალებებია, მაგალითად, შეეცადეთ რომელიმე პერსონაჟის პოზიციიდან აღწეროთ მთავარი გმირი. აქვეა თავისუფალი თემების დასაწერი დავალებაც. ეს უკანასკნელი მოსწავლის შემოქმედებითი უნარის განვითარებასა და გამოვლენაზეა გათვლილი. ავტორები სთავაზობენ რჩევებს, თუ როგორ შეიძლება შეთხზას მოსწავლემ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები.

ნოსტალგიას და ემიგრაციის თემას ეხება მცირე ამონარიდი საგაზეთო სტატიიდან, რომელშიც საფრანგეთიდან ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩამოსვენების ამბავია მოთხრობილი (გაზ „24 საათი“, 21 ნოემბერი, 2005 წელი). ეს ინფორმაცია მოსწავლეს საშუალებას აძლევს პარალელი გაავლოს ამ ორ მასალას შორის და გამოგონილი და რეალური ფაქტები ერთმანეთს შეადაროს, წარმოიდგინოს, როგორ შეიძლება კონკრეტულმა ფაქტმა ბიძგი მისცეს მწერალს მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად.

მოსწავლეს დავალებად ეძლევა დაწეროს ინფორმაცია გაზეთისთვის, ე.ი საგაზეთო სტილით აღწეროს ამბავი. შემდეგ არის 5) ერთად ვიმსჯელოთ—აქ მოცემული დავალებებით მოსწავლეს მხატვრული კითხვის უნარი უვითარდება.

I თავის, მეოთხე პარაგრაფში, მცირე თემატურ რკალში „გზა ევროპისკენ“ სულხან-საბას ცნობილი „ევროპაში მოგზაურობის“ შემდეგ შემოთავაზებულია თანამედროვე მწერლის ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ ევროპაში რა მინდოდა“. ვფიქრობთ, ეს მარჯვედ შერჩეული ტექსტია და მოსწავლეს ანალიზისა და განსჯის მდიდარ მასალას აწვდის, მას შეუძლია თვალი მიადევნოს, რა ხდებოდა სულხან-საბას დროს, რატომ მისწრაფვოდნენ ქართველები ევროპაში, ხოლო დღეს რა შეიცვალა. ზემოთ ნახსენები სქემა აქაც მეორდება, ე. ი. კითხვები არის ტექსტის წაკითხვამდე და შემდეგ.

ამ ტექსტს ახლავს ზეპირმეტყველების განმავითარებელი დავალება: აირჩიეთ როლი, ეპოქა და დაწერეთ გამოსვლის ტექსტი სათაურით; „გზა ევროპისკენ“. შემოთავაზებულია სხვადასხვა როლი, მაგალითად, დესპანისა, სტუდენტისა, პოლიტიკოსისა, ემიგრანტისა და სხვ.

კარგია, რომ ზეპირმეტყველების დავალებას ახლავს რჩევები, თუ როგორ უნდა შექმნას მოსწავლემ ტექსტი უკეთესად.

ნიმუშად მოყვანილია სანდრო კარიძის სიტყვა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიადან“. აქვეა პრაქტიკული დავალებაც: ტექსტში მოძებნონ მონაკვეთები, რომელთა მიზანია ან ინფორმაციის მიწოდება ან მოვლენის შეფასება და სხვა.

დავალებად შეთავაზებულია ორი თემა: 1. საქართველოს აწმყო და მომავალი და 2. ჩემი ბავშვობა. აქვეა რჩევა, თუ როგორი ფორმა შეიძლება აირჩიონ: მიმართვა თუ თხრობა ან რომელი აუდიტორია გაითვალისწინონ: თანატოლები, უმცროსები თუ ფართო.

II თავის მეორე პარაგრაფში „მითის მეორე სიცოცხლე“ „ამირანის მითის“ შემდეგ შემოთავაზებულია გალაკტიონ ტაბიძის „მშობლიური ეფემერა“ და აკაკის „ამირანი“. ესეც კარგად შერჩეულ—მისადაგებულია.

აქ საინტერესო დავალებაა. მოსწავლეები თვითონ უნდა მიხვდნენ და დაასაბუთონ რომელი ლექსი ეკუთვნის აკაკის და რომელი გალაკტიონს. შემდეგ უნდა იმსჯელონ ამირანის მითის რა ელემენტები წარმოჩნდება თითოეულში.

წერის უნარის გასავითარებლად შეთავაზებულ წერით ავალებას ახლავს რჩევები, თუ რა უნდა გაითვალისწინონ წერისას, რას მიაქციონ ყურადღება.

III თავში არის „გამომახილი“, რომელიც „შუმანიკის წამების“ შესწავლას მოსდევს: ჯერ არის კითხვები ტექსტის წაკითხვამდე. შემდეგ – ანა კალანდაძის „მოპყავთ შუმანიკი“ და ჯანსუღ ჩარკვიანის „წამება დედოფლისა“. დავალებად მიცემულია, იმსჯელონ რა და როგორ აისახა ლექსებში. აქვეა ცხრილი, რომელიც დავალების შესრულებაში დაეხმარებათ.

VII თავში „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა“ შეტანილია გალაკტიონის „პროლოგი 100 ლექსის“.

აქ არის ახალი დავალება: „როლური თამაში“. ეს არის იგივე დისკუსია, პაექრობა. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ და იკამათონ ხელოვნების შესახებ. წინასწარ ირჩევენ როლს (სწავლობენ ერთი რომელიმე ავტორის შეხედულებებს და წარმოადგენენ). ერთი შეთავაზებაა, რომ აირჩონ და წარმოადგინონ გალაკტიონის თვალსაზრისები. აქვეა ამ მასალის მოსამზადებლად რეკომენდებული ლიტერატურა: ლექსები: „პოეზია, უპირველეს ყოვლისა“, „ხელოვნება“, „მარმარილო“, „ისევე ეფემერა“. კარგი იქნებოდა, ეს ლექსები აქვე ყოფილიყო.

თუ როგორ მოემზადონ როლური თამაშისთვის, ზედმიწევნით არის რჩევები.

კარგია, რომ იმ თავს, სადაც შეისწავლიან „ქაჯეთის ციხის აღებას“ ახლავს თამაზ ჭილაძის წერილის „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ ფრაგმენტი. აქვე, „გამომახილის“ რუბრიკით წარმოდგენილია გივი გეგეჭკორის ლექსი „წიგნი მიწერილი ასმათსა თანა“ და შოთა ჩანტლაძის „გულანშარო“, აგრეთვე აკაკი ბაქრაძის წერილი „ავთანდილის სახე ვეფხისტყაოსანში“.

V თავში „უბრალოდ ადამიანი“ წარმოდგენილია გურამ დოჩანაშვილის „კოტე მასწავლებელი“. ამ ტექსტსაც ახლავს ყველა იმ ტიპის დავალება, რომელზედაც ზემოთ გესაუბრეთ,

ასე რომ, ამ სახელმძღვანელოშიც დიდი ყურადღება ექცევა კითხვის, წერისა და ზეპირმეტყველების განვითარებას.

მესამე სახელმძღვანელოს ავტორ–შემდგენლები არიან ბაკურ სულაკაური, თეა ქიტოშვილი, ნინო გორდელაძე (“ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”).

მეოცე საუკუნის ლიტერატურა აქ ასეა წარმოდგენილი (სახელმძღვანელო ქრონოლოგიზმის პრინციპზეა აგებული, რაც, ჩვენი აზრით, კარგია). ცხრა თავიდან XX საუკუნე VII, VIII და IX თავებშია წარმოდგენილი, კერძოდ:

მეცხრე თავში არის XX საუკუნის I ნახევრის პროზა– 1. დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“, 2. ნიკო ლორთქიფანიძის „ფეოდალები“, 3. მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურა“, 4. ფრაგმენტი ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხიადან, 5. რევაზ ინანიშვილის „ბღუკები“, 6. რეზო ჭეიშვილის „სურათებიანი წიგნი“, 7. გურამ დოჩანაშვილის „მთის გადაღმა“, 8. აკა მორჩილაძის „ნურადინ ფრიდონის ამბავი“, ხოლო პოეზია– 1. პაოლო იაშვილის „თბილისი“, 2. ტიციან ტაბიძის „ლექსი მეწყერი“, 3. გიორგი ლეონიძის „ნინოწმინდის ღამე“, 4. ტერენტი გრანელის „მე და გალაკტიონი“. 5. ანა კალანდაძის „... შენ ისე ღრმა ხარ“, 6. ოთარ ჭილაძის „... მატარებლებით სავსეა ღამე“, 7. ვახტანგ ჯავახიძისა, 8. ტარიელ ჭანტურასა და 9. ბესიკ ხარანაულის („ატმის ხე ქარხნის ეზოში“).

მერვე თავი მთლიანად გალაკტიონის პოეზიის შესწავლას ეძღვნება. აქ არის მცირე ბიოგრაფიული მონაცემები, გალაკტიონის დღიურებიდან რამდენიმე ნაწყვეტი. ეს კარგი მასალაა იმისთვის, რომ მოსწავლე გაეცნოს პოეტის რეალურ ცხოვრებას. აქვეა შესაბამისი კითხვები, რომლებიც გამოავლენენ რა და როგორ აითვისა მოსწავლემ ეს მასალა. ლექსები: „ი.ა.“ „მთაწმინდის მთვარე“, „რომელი საათია?“, „ქალაქი სიბნელეში“, „ამ ბნელი ღამით“, „...იმ ვარდისფერ ატმებს“, „ქარი ქანაობს ქნარად“, „...ქარი დაცხრა სიბოხოქრის“, „წელიწადები აწავლიან ძველი“. ლექსებს ახლავს კითხვები და დავალებები. წინასწარ არ არის რაიმე ტიპის მოსამზადებელი სამუშაო გათვალისწინებული. ასევე, ტექსტების ბოლოს არ არის გამოკვეთილი, რას შეისწავლიან ახალს ლექსის ესთეტიკური აღქმის თვალსაზრისით. კარგი იქნებოდა აქვე მოცემული ყოფილიყო რაიმე ტიპის მასალა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარებოდა გალაკტიონის პოეზის აღქმასა და გაგებაში.

IX თავში XX საუკუნის მეორე ნახევრის პროზიდან არის: ფრაგმენტი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიადან“ (არქიფო სეთურის ქვეყანა), რევაზ ინანიშვილის „ბღუკები“, რეზო ჭეიშვილის „სურათებიანი წიგნი“, გურამ დოჩანაშვილის „მთის გადაღმა“, აკა მორჩილაძის

„ნურადინ ფრიდონის ამბავი“, პოეზია: ანა კალანდაძის „... შენ ისე ღრმა ხარ“, ოთარ ჭილაძის „... მატარებლებით სავსეა ღამე“, ვახტანგ ჯავახიძისა, ტარიელ ჭანტურისა და ბესიკ ხარანაულის („ატმის ხე ქარხნის ეზოში“). ყოველ ტექსტს ახლავს კითხვები და დავალებები, მაგრამ წინა სახელმძღვანელოტაგან განსხვავებით, აქ არ არის გარკვეული აქცენტები გაკეთებული.

VII თავში, როგორც ვთქვით, XX საუკუნის I ნახევრის პროზა და პოეზიაა წარმოდგენილი. პროზაულ ტექსტებს წინ არ უძღვის არანაირი მოსამზადებელი კითხვები.

ტექსტები არ არის ილუსტრირებული. არც ერთი ნახატი არ არის. ამ თვალსაზრისით ის ორი სახელმძღვანელო უკეთესია. თუმცა გასაფორმებლად გამოყენებულია ფერადი ფოტოები.

ყოველ ტექსტს წინ უძღვის მწერლის მშრალი ბიოგრაფია (წლები და ფაქტები).

ტექსტის ბოლოს ძირითადად მეორდება კითხვების შემდეგი სქემა: ტექსტის შინაარსი, ტექსტის ენა, იმსჯელებით, დაწერეთ.

ბაკულას ღორების ტექსტს წინ უძღვის მშრალად დაწერილი კლდიაშვილის ბიოგრაფია ფოტოთი. აქ არც კია აღნიშნული, რომ მიხეილ თუმანიშვილმა კინომსახიობთა თეატრში დადგა „ბაკულას ღორები“. ასევე, ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი „დათა თუთაშვიას“ კინოვერსიის შესახებ.

აქაც უცნობი სიტყვები იმავე გვერდზეა განმარტებული. ტექსტის ბოლოს არის კითხვები რუბრიკით: ტექსტის შინაარსი, ტექსტის ენა, იმსჯელებით, დაწერეთ.

გამოყენებულია ღია და დახურული ტიპის კითხვები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კლდიაშვილის ენობრივ თავისებურებათა შესწავლას, რაც კარგია.

არის დავალება ჯგუფური სამუშაოსთვის, თუმცა მწირია რჩევები, თუ როგორ შეასრულონ.

შემდეგ არის „იმსჯელებით“: აქ შეთავაზებულია რამდენიმე კითხვა, კარგი იქნებოდა პერსონაჟთა დახასიათების შესასრულებელი დავალების მიცემა.

დაწერე–ამგვარი რუბრიკით დავალებაა, რომ დაწერონ მოკლე შინაარსი.

შემოქმედებითი მუშაობისთვის კარგი დავალებაა: „გადააკეთე რომელიმე ეპიზოდი პიესად“. თუმცა აქ არ არის რჩევა, როგორ დაწეროს პიესა, არც პიესის ნიმუშია. ასევე, სთავაზობენ, რომ გამოიყენოს რემარკები და რეპლიკები, მაგრამ არ სთავაზობენ ამ ცნებათა განმარტებას ან ნიმუშებს. ამგვარი ტიპის რჩევა წიგნის ბოლოშია სხვა დავალებასთან ერთად. აქ არის რუბრიკა „მწერლის სახელოსნო“ და საკითხი „მოთხრობის გადაკეთება პიესად“. ეს კარგი იქნებოდა ყოფილიყო იმ გვერდზე, სადაც მსგავსი ტიპის დავალებაა შეთავაზებული. თუმცა აქ ახალი დავალებაა, ნიკო ლორთქიფანიძის „ფეოდალები“ გადაკეთონ პიესად. დიდი და რთული დავალებაა, უკეთესი იქნებოდა ფრაგმენტის შეთავაზება.

აქვეა დამატებითი დავალება: დადგი სპექტაკლი პიესის მიხედვით. თავისთავად საინტერესოა, მაგრამ უფრო კლასგარეშე სამუშაოა მთელი სპექტაკლის შექმნა.

შეიძლება ლიტერატურის თეორიის გარკვეული მასალის შესწავლა ამ მოთხრობების მიხედვით, მაგ. დრამა, პიესა, ირონია, სატირა.

ასევეა წარმოდგენილი მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩურა“. კარგია თანდართული ამონარიდი ჯავახიშვილის წერილიდან „როგორ ვწერ“, რომელშიც საუბარია, თუ როგორ შეიქმნა ეს მოთხრობა.

ე.ი. ჩვენი მთავარი შენიშვნა თუ სურვილია: დავალების შესასრულებლად ავტორთა მხრიდან მეტი რჩევა და განმარტება ყოფილიყო.

პოეზია მხოლოდ ავტორთა ბიოგრაფიებითა და კითხვებითაა წარმოდგენილი.

თავის ბოლოში არის რუბრიკა „ცოტა რამ თეორიიდან“. აქ არის პატარა წერილი „სიმბოლოზმი და ციფერყანწელები“, მაგრამ კავშირი არ ჩანს ტექსტებსა და ამ ნაწილს შორის.

ასე რომ, ჩვენი აზრით, ავტორებს მადლობა ეთქმით გაწეული შრომისთვის, სამივე სახელმძღვანელოში ბევრი რამ არის საგულისხმო, ჩანს ფიქრი და ცდა, გარკვეული პრინციპით შეარჩიონ და დაალაგონ მასალა იმგვარად, რომ სწავლის პროცესი გახდეს საინტერესო და ნაყოფის მომტანი.